

საქართველოს ბანკის ცენტრი



HTMC-QIS-COM-001-v.1.0

**ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისა
და პაციენტთა უსაფრთხოების
კომიტეტის დებულება**

კომიტეტის მიზანი

შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისა და პაციენტთა უსაფრთხოების კომიტეტის (შემდგომი - ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი იგივე - QMC) შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება და პაციენტის უსაფრთხოება; ზედამხედველობა გაუწიოს და წარმართოს საავადმყოფოს ძალისხმევა პაციენტთა მოვლის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისკენ, ასევე უზრუნველყოს საავადმყოფოს ოპერირების ყველა ასპექტში პაციენტის უსაფრთხოება და უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობა. კომიტეტი მიზნად ისახავს ხარისხთან დაკავშირებული სტრატეგიების შემუშავებას, მარეგულირებელი სტანდარტების დაცვას, ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების განვითარებას და პაციენტთა მოვლის სრულყოფილების კულტურის განვითარებას.

კომიტეტის მოქმედების სფერო

ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი პასუხისმგებელია კლინიკური მართვისა და პაციენტის უსაფრთხოების იმგვარი კულტურის ხელშეწყობაზე, რომელიც მუდმივად გაუმჯობესებს პაციენტის მოვლის ხარისხს. მოვალეობების შესრულებისას კომიტეტი დააკვირდება და ხელს შეუწყობს პაციენტის კეთილსინდისიერი მოვლის და პატივისცემის ორგანიზაციულ ღირებულებებს. ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტის პასუხისმგებლობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

- საავადმყოფოს ხარისხისა და უსაფრთხოების მართვის პროგრამის ზედამხედველობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობა;
- გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირება მონაცემთა ანალიზის, პაციენტების გამოხმაურების, ინციდენტების შესახებ მოხსენებებისა და წინასწარ შემუშავებული შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPIs) მეშვეობით;
- ხარისხის სტრატეგიების შემუშავება და დანერგვა პაციენტის უსაფრთხოების გასაძლიერებლად, სამედიცინო შეცდომების შესამცირებლად და კლინიკური შედეგების გასაუმჯობესებლად;
- საავადმყოფოს პოლიტიკისა და პროცედურების განახლების განხილვა და რეკომენდაცია, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხთან, უსაფრთხოებასა და რისკების მართვასთან;
- შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობა ინციდენტებისა და გვერდითი მოვლენების ძირითადი მიზეზების ანალიზის ჩასატარებლად და



მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებების განხორციელების უზრუნველყოფა;

- შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPIs), კლინიკური მეტრიკისა და ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების რეგულარული მონიტორინგი;
- საავადმყოფოს ხელმძღვანელობისა და მარეგულირებელი ორგანოებისთვის ხარისხის გაუმჯობესების პროცესების შესახებ ანგარიშების მომზადება;
- ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგიების, პაციენტის უსაფრთხოების პრაქტიკისა და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე თანამშრომლების განათლებისა და ტრენინგის ხელშეწყობა;
- საავადმყოფოს რისკის მართვის კომიტეტთან თანამშრომლობა რისკების გადასაჭრელად და რისკის შემცირების საერთო სტრატეგიების გასაუმჯობესებლად;
- ხარისხის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული აუდიტისა და მონიტორინგის აქტივობების, შიდა ან გარე რესურსების მიერ განხორციელებული აუდიტისა თუ მიმოხილვის განხილვა, აგრეთვე იმის ხელშეწყობა, რომ მენეჯმენტი შეიმუშავებს და დროულად განახორციელებს შესაბამის მაკორექტირებელ ქმედებებს შეუსაბამობების საპასუხოდ;
- მზადება გარე შეფასებებისთვის, აკრედიტაციის კვლევებისა და აუდიტებისთვის ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით.
- ხარისხისა და უსაფრთხოების ოპერაციების სამმართველოს რისკის შეფასების და მასთან დაკავშირებული სამუშაო გეგმის ყოველწლიურად განხილვა და დამტკიცება, აუდიტისა და მონიტორინგის ინიციატივების ჩათვლით;
- პაციენტის მოვლის მაჩვენებლების და კრიტერიუმების ყოველწლიური განხილვა და დამტკიცება;
- მიზანშეწონილობის მიხედვით, წინამდებარე პროგრამის ყოველწლიურად განხილვა და გადახედვა;
- პერიოდულად და არანაკლებ ყოველწლიურად, კომიტეტის მიერ ხარისხის პროგრამაზე ზედამხედველობის შეფასება, რაც დასტურდება მისი მოქმედებით პროგრამის ყველა მოთხოვნის შესაბამისად და ამის შესახებ ანგარიშგება საავადმყოფოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წინაშე.

ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი უფლებამოსილია:

- ✓ საავადმყოფოს ხელმძღვანელობას ურჩიოს ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივები და სტრატეგიები.



- ✓ ითანამშრომლოს შესაბამის დეპარტამენტებთან, რათა განახორციელოს მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებები ძირეული მიზეზების ანალიზზე დაყრდნობით.
- ✓ გადახედოს და მიაწოდოს ინფორმაცია საავადმყოფოს პოლიტიკასა და პროცედურებზე, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხთან, უსაფრთხოებასა და რისკის მართვასთან.

კომიტეტის შემადგენლობა

ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი შედგება საავადმყოფოს სხვადასხვა განყოფილების წარმომადგენლებისგან, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

- ხარისხის დირექტორი;
- სამედიცინო დირექტორი;
- კლინიკური მენეჯერი;
- კლინიკის ეპიდემიოლოგები;
- მთავარი მედდა;
- იურისტი;
- სტატისტიკოსი.

3

კომიტეტის წევრის უფლება-მოვალეობები

შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის ხარისხისა და პაციენტთა უსაფრთხოების კომიტეტის წევრი ვალდებულია:

- ✓ დაესწროს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის სხდომებში
- ✓ წვლილი შეიტანოს პაციენტთა მოვლასთან, უსაფრთხოებასა და ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაში, განხილვასა და გადახედვაში.
- ✓ მონაწილეობა მიიღოს ხარისხის გაუმჯობესების პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს პაციენტის შედეგების გაუმჯობესებას, სამედიცინო შეცდომების შემცირებას და ჯანდაცვის მიწოდების საერთო ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას.



- ✓ მუდმივად გაანალიზოს კლინიკური მონაცემები, შესრულების მეტრიკა, პაციენტების კმაყოფილების გამოკითხვები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია ხარისხის გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირებისა და დროთა განმავლობაში პროგრესის მონიტორინგისთვის.
- ✓ დარწმუნდეს, რომ საავადმყოფო იცავს მარეგულირებელ მოთხოვნებს, აკრედიტაციის სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას ჯანდაცვის ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოებაში.
- ✓ იდენტიფიცირება გაუკეთოს პოტენციურ რისკებსა და საფრთხეებს პაციენტის მოვლის პროცესებში და ითანამშრომლოს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან რისკის შემცირების სტრატეგიების განსახორციელებლად.
- ✓ მუდმივად დაიცვას პაციენტის უსაფრთხოება ღია კომუნიკაციის კულტურის ხელშეწყობით, არასასურველი მოვლენების შესახებ მოხსენებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის დანერგვით, რათა თავიდან აიცილოს პაციენტებისთვის ზიანის მიყენება.
- ✓ ხელი შეუწყოს საავადმყოფოს პერსონალის უწყვეტ განათლებასა და ტრენინგს ხარისხის გაუმჯობესების პრინციპების, მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების შესახებ.
- ✓ ითანამშრომლოს საავადმყოფოს სხვადასხვა განყოფილებებთან, მათ შორის, ექიმებთან, ექთნებთან, ადმინისტრატორებთან და დამხმარე პერსონალთან, რათა ხელი შეუწყოს გუნდურ მუშაობას და თანამშრომლობას ხარისხის მიზნების მისაღწევად.
- ✓ აკონტროლოს დეპარტამენტების/ განყოფილებების მუშაობა დადგენილ ხარისხის ინდიკატორებთან და კრიტერიუმებთან მიმართებაში და უზრუნველყოს უკუკავშირი და მხარდაჭერა, როგორც ეს საჭიროა მუშაობის გაუმჯობესებისთვის.
- ✓ ეთანამშრომლოს პაციენტებსა და მათ ოჯახებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი შემფოთება/ გამოსმაურება განიხილება და გათვალისწინებულ იქნება ხარისხის გაუმჯობესების მცდელობებში.



- ✓ განიხილოს ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივები, ეთიკური შედეგები, განსაკუთრებით პაციენტების კონფიდენციალურობის, ინფორმირებული თანხმობისა და ჯანდაცვის სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.
- ✓ რეგულარულად შეაფასოს ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების ეფექტიანობა და რეკომენდაცია გაუწიოს კორექტირების საჭიროებას ან მოდიფიკაციას სასურველი შედეგების მისაღწევად.

კომიტეტის თავმჯდომარე და ხელმძღვანელობა

კომიტეტის თავმჯდომარედ განისაზღვრება კლინიკის ხარისხის დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობას, რეგულარულ შეხვედრებს და წარმოადგენს პირველადი მეკავშირეს საავადმყოფოს ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციასთან.

ქვეკომიტეტები

QMC-ს შეუძლია შექმნას, მოახდინოს რეორგანიზაცია, ან დაშალოს მუდმივი ან დროებითი ქვეკომიტეტები ან სამუშაო ჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ QMC-ის მითითებით და ანგარიშს გაუწევენ თავიანთ საქმიანობას. ქვეკომიტეტებს ან სამუშაო ჯგუფებს უხელმძღვანელებს QMC-ის მიერ დანიშნული პირ(ებ)ი, იმუშავებენ პასუხისმგებლობების განსაზღვრულ ფარგლებში, გამართავენ დაგეგმილ შეხვედრებს - ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საჭირო სიხშირით და აწარმოებენ ქვეკომიტეტის/სამუშაო ჯგუფის საქმის ოქმს. QMC-ი შეაფასებს თითოეული ქვეკომიტეტის/ სამუშაო ჯგუფის ეფექტიანობასა და სტრუქტურას მინიმუმ ყოველწლიურად.

5

კომიტეტის შეხვედრების რეგულარობა

ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი შეიკრიბება კვარტალში ერთხელ, რათა განიხილოს ხარისხის მაჩვენებლები და გაუმჯობესების მცდელობები, განიხილოს პროგრესი და ხარისხთან დაკავშირებული შეუსაბამობები/ პრობლემატური საკითხები. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს დამატებითი შეხვედრები.

თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს კომიტეტის შეხვედრებზე დასასწრებად სხვა პირები, აღმასრულებლები, თანამშრომლები, სამედიცინო პერსონალი, განყოფილების ხელმძღვანელები და/ან გარე მრჩეველები. დამატებითი დამსწრეების ნებისმიერი მოთხოვნა წინასწარ უნდა დაამტკიცოს თავმჯდომარემ.



კომიტეტის ყოველი შემდგომი სხდომის შესახებ კომიტეტის წევრებს შეხვედრამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე წინასწარ ეგზავნებათ შეტყობინება სხდომის დღის წესრიგთან ერთად ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით (ელ-ფოსტა, WhatsApp და Viber აპლიკაციები).

ყოველ შეხვედრაზე თავმჯდომარე ნიშნავს მდივანს, რომელიც აწარმოებს შეხვედრის ოქმს. შეხვედრები უნდა ჩატარდეს შეძლებისდაგვარად პირისპირ. კომიტეტის ყველა წევრი უნდა დაესწროს თითოეულ შეხვედრას. ქვორუმისთვის საჭიროა კომიტეტის წევრების უმრავლესობის დასწრება.

კომიტეტის საქმიანობის და მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტირება

შეხვედრის დაოქმება

სხდომის ოქმები შედგება ყოველი შეხვედრისას. ოქმები მოცემულია მომდევნო შეხვედრისას განხილვისა და დასამტკიცებლად.

კომიტეტის ანგარიშგება

კომიტეტი რეგულარულად წარუდგენს საქმიანობის ანგარიშებს საავადმყოფოს ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციას, რომელიც განიხილავს კომიტეტის საქმიანობას, პროგრესს და რეკომენდაციებს.

6

დებულების განხილვა და განახლება

წინამდებარე დოკუმენტი პერიოდულად უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა საავადმყოფოს მიზნებთან და განვითარებად მარეგულირებელ სტანდარტებთან. საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებები შეიძლება იყოს შემოთავაზებული და დამტკიცებული კომიტეტის მიერ.

კონფიდენციალურობა

კომიტეტის წევრები მოვალენი არიან, შეინარჩუნონ სენსიტიური ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც განიხილება შეხვედრებზე და დაკავშირებულია ხარისხის გაუმჯობესების მცდელობებთან.

ძალაში შესვლის თარიღი

წინამდებარე დებულება ხელმოწერის თანავე

